სკკპ დიდი ყრილობის შესახვედრად

წინ, კომუნიზმისაკენ!

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. ქართველი კომუნისტების ცხოვრებაში ეს ყრილობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა. გასაგებიც არის. ყრილობა შეეკრიბა უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობის დღეებში, როცა ჩვენი თავდაუზოგავი სამშობლოს უველა კუთხეში მშრომელთა უდიდესი აქტივობით მიმდინარეობს ჩვენი ეპოქის შესანიშნავი მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტის — სკკპ პროგრამის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი არნახული შრომითი ენთუზიაზმით ემზადება მშობლიური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად.

ყრილობის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყო პარტიის მიერ დასახული ახალი გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის საქართველოს კომუნისტების მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით. ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია თავის ყრილობაზე მოვიდა კიდევ უფრო შეკავშირებული და გამოწრთობილი, განაგრძო და გაამრავალა თავისი რევოლუციური ტრადიციები კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სამი დღის განმავლობაში რესპუბლიკის კომუნისტთა 222-ათასიანი არმიის რჩეულმა პარტიისა და ხალხის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, საქმიანად განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში, სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტები და აღნიშნეს საქართველოს კომპარტიის შემდგომი ამოცანები კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

საანგარიშო მოხსენებაში, აგრეთვე დელეგატთა გამოსვლებში მოცემული იყო პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის ღრმა ანალიზი ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარების დარგში.

სამრეწველო წარმოების გეგმა 1960 წელს შესრულდა 102 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის რვა თვეში — 103 პროცენტით. ამ ხნის განმავლობაში გამოშვებულია ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების დავალებანი.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის შემდეგ, ერთ წელსა და რვა თვეში, რესპუბლიკაში ამუშავდა 23 სამრეწველო საწარმო და დიდი საამქრო. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობა — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უველაზე ახალგაზრდა დარგები.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებით გამოწვეული სიძნელეებისა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმა. რესპუბლიკის ბევრ რაიონში სიმინდის მაღალ მოსავალს იღებენ. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ყრილობამ ღირსეულად შეაფასა წარმატებები სახალხო მეურნეობისა და კულტურის მთელ რიგ დარგებში, გამოააშკარავა აგრეთვე ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც არსებობს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში.

— მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მშენებლობის მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები, — ნათქვამია ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში — ეს ნაკლოვანებები განსაკუთრებით შეუწყნარებელია სკკპ პროგრამის პროექტით დასახული ამოცანების მიხედვით. ჯერ კიდევ დიდია იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებენ როგორც საერთო პროდუქციის, ისე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმას. შარშან პროდუქციის გამოშვების გეგმები ვერ შეასრულა 103 საწარმომ, ხოლო მიმდინარე წლის რვა თვეში — 85 საწარმომ.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობა. ზნაურის, ჭიათურის, ამბროლაურის, ვანის რაიონებში მათი რიცხვი კვლავ დიდია. ნაკლოვანებებია სავაჭრო და საფინანსო, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაში. მეტ უურადღებას მოითხოვს ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდის საკითხები.

თავიანთ გამოსვლებში დელეგატებმა ილაპარაკეს იმ უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შესახებ, რაც რესპუბლიკის მშრომელებში გამოიწვია პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვამ. კომუნისტებმა, უპარტიო მუშებმა და კოლმეურნეებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა უაღრესად საქმიან ვითარებაში განიხილეს ეს დოკუმენტები და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობამ მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონა პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა უფრო ფართოდ გაშალონ ამ დოკუმენტების განხილვა და შესწავლა, დაუკავშირონ იგი კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს.

ყრილობამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განვლილ მუშაობას დამაკმაყოფილებელი შეფასება მისცა და მიიღო გაშლილი, კონკრეტული რეზოლუციები შემდგომი მუშაობისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება გამოიწვევს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის არნახულ აუვაეებასა და წინსვლას.

ახლა, როცა ხელთა გვაქვს ყრილობის მიერ მიღებული კონკრეტული ღონისძიებანი — ჩვენი მომავალი მუშაობის ნათელი ამოცანები — საჭიროა დაუნებითი და შემოქმედებითი ბრძოლა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის მასალები გამოქვეყნებულია, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ ორგანიზებულად, რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი აქტივობის ვითარებაში მოაწყონ ყრილობის მასალების ღრმად შესწავლა. მთელი იდეოლოგიური მუშაობა იქითკენ უნდა წარემართოთ, რომ რესპუბლიკის თვითეულ მშრომელს ღრმად ესმოდეს ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა. საამისოდ უნარიანად უნდა გამოვიყენოთ აგიტატორების, პროპაგანდისტების, ლექტორებისა და მომხსენებლების მრავალრიცხოვანი არმია. განსაკუთრებული უურადღება უნდა დაეთმოს ყრილობის მასალების შესწავლას პარტიული განათლების ქსელში.

ყრილობის შედეგებს განიხილავს რესპუბლიკის უველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ეს კრებები უნდა ჩავატაროთ ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე.

მხოლოდ ორი კვირა დარჩა სკკპ XXII ყრილობის გახსნამდე. ყრილობა შეაჯამებს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგებს, განიხილავს და მიიღებს სკკპ ახალ პროგრამასა და წესდებას, დასახავს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების კონკრეტულ გზებს. უეჭველია, ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები, საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ენერგიის დაუზოგავად იბრძოლებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდი პროგრამის — განხორციელებისათვის.

ჩვენი პრესტა

ლაპარაკობენ სკკპ XXII ყრილობის დელეგატები

პროლეტარებო უველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 226 (12140) | სამშაბათი, 3 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდი ნდობა მავალებს...

მთელი ჩვენი ქვეყანა ღირსეულად ემზადება მშობლიური პარტიის XXII ყრილობისათვის. რაც უფრო ახლოვდება ყრილობის გახსნის დღე, მით უფრო მრავლდება შრომითი წარმატებები. ამ დღეებში დავბრუნდი საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობიდან და ბედნიერი ვარ, რომ ასე დიდი ნდობა გამომიცხადეს — არჩეული ვარ სკკპ XXII ყრილობის დელეგატად.

ეს სიხარული ჩემთან ერთად გაიზიარეს ჩემი რგოლის წევრებმა და კვლავ ენერგიულად განაგრძობენ ჩაის ფოთლის კრეფას, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ კომუნისტურ შრომას ამკობს სასახელო საქმეები. ეს ტრადიცია დამკვიდრებულია მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში.

წლების მანძილზე ვმუშაობ აქ და მეჩაიეთა რგოლს ვხელმძღვანელობ. ყოველწლიურად ვზრდიდით ჩაის მოსავლიანობას. მაგრამ წელს უფრო მეტ წარმატებას მივაღწიეთ. რგოლის წევრებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 45 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 36 ტონას ითვალისწინებდა.

მაგრამ მეჩაიეები ამითაც არ კმაყოფილდებიან. სეზონის ბოლომდე დამატებით მოკრეფენ ტონობით ჩაის ნედლეულს და ამ წარმატებას მიუძღვნიან პარტიის XXII ყრილობას.

პირადად მე 0,5 ჰექტარზე 12,5 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მომეკრიფა. ეს დავალება 12 სექტემბრისათვის შევასრულე. ახლა ვიბრძვი დამატებით 500 კილოგრამი „მწვანე ოქროს“ მოკრეფისათვის.

პირადად მე და ჩემი რგოლის წევრები პირობას გავანაღდებთ.

ეკატერინა ჩხაიძე,
მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.



ჰარზნის მილღვევა ჩემი მილღვევაც არის

ჩემი ცხოვრება 1934 წლიდან დავუკავშირე თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათაშენებლო ქარხანას, მის შესანიშნავ კოლექტივს. ამიტომ არის, რომ მისი წარმატება ჩემი წარმატებაც არის, ჩემი წარმატება საწარმოს მიღწევაც არის. ქარხანა ხომ ჩვენი მეორე დიდი ოჯახია, რომლის ყოველი წევრი შეუნელებელი ენერგიით შრომობს, რათა პირნათლად გავანაღდოთ შვიდწლიანი გეგმა, უფრო გავზარდოთ მატერიალური დოვლათი.

წელს ჩვენმა ქარხანამ ღვინის წნეხების წარმოება აითვისა. ასეთი წნეხის დამზადებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია მსხვილმოდულიანი კონუსური კბილანები, რომლებსაც კოოპერირების წესით ერევნიდან გვიგზავნიდნენ, ვიდაიდან მთელ ჩვენს რესპუბლიკაში არ იყო ისეთი ჩარხი, რომელიც ასეთ დეტალს დაამუშავებდა. აქედან გასაგებია, თუ როგორ უჭირდა ქარხანას, რა ძვირად გვიღირდა ეს კბილანები.

ამ გარემოებამ მე, როგორც რაციონალიზატორს, გადამაწყვეტინა სასწრაფოდ მეპოვნა გამოსავალი. და აი ჩვეულებრივ ჰორიზონტალურ სარანდავ ჩარხზე მოვარგე სპეციალური მოწყობილობა. ახლა ქარხანაში ჩვენ თვითონ ვამზადებთ ამ კბილანებს და ძალიან იაფადაც. თუ უწინ ერთი ასეთი დეტალი გვჯდებოდა 170 მანეთი, ახლა გვიჯდება 5 მანეთი და 50 კაპიკი.

როგორია საწარმოო შედეგი? 70 ათასი მანეთის წლიური ეკონომია — აი ჩემი მცირე საჩუქარი პარტიის XXII ყრილობას.

მ. აკოფოვი,
კომუნისტური შრომის დამკვრელი.

ქუთაისი. (საკ. კორ.). სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში უველაზე უფრო დაწინაურდა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი. აქ 26 სექტემბრისათვის შეასრულეს სასაქონლო მარგანეცის დამზადების ათი თვის დავალება და მარგანეცს უკვე ნოემბრის ანგარიშში იძლევიან. საყურადღებოა, რომ ამჟამად აქ არ არის არც ერთი მაღარო, უბანი, ფაბრიკა, ცალა და ბრიგადა, რომელიც ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდეს.

მამაცური შრომით თავი ისახელეს მა ღაროელებმა: მ. აბრამიშვილმა, გ. ღვთაძემ, ტ. ჭილაძემ, პ. გოგატიშვილმა, ი. ქართველიშვილმა, ა. აბაშიძემ, ა. გიორგაძემ, გ. ჟორჟოლაძემ, მ. ცერცვაძემ, ა. ყავლაშვილმა. ისინი წინასაყრილობო ვახტზე დგანან და ცვლაში ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებენ.

შენთვის, სამშობლოვ, შენთვის, პარტიავ!

ახალციხე. (საკ. კორ.). თაბაშირის ქარხნის კოლექტივმა 18 სექტემბრის უპატაკა სამშობლოს სამშენებლო თაბაშირის გამოშვების 9 თვის გეგმის შესრულება.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის წარმატებით იბრძვიან და ყოველდღიურ გეგმებს 120-130 პროცენტით ასრულებენ ზეინკლები ს. მელიქიძე, ნ. სამსონიძე, მხარმაჯი ვ. პეტროსიანი, ცეცხლფარეში ვ. ავეტისიანი და სხვები.

ლოხუმი. (საკ. კორ.). სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა სოხუმის ხორცის კომბინატის საწარმომ. 20 სექტემბრისათვის 115,6 პროცენტით გაანაღდა საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა. გეგმის ზევით გამოშვებულია 387 ათასი მანეთის პროდუქცია.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა 25 სექტემბერს შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა — მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.571 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 4.570 ტონისა.

მილოცვა გვინეელი ხალხისადმი

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მიულოცეს გვინეის ხალხს გვინეის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის დღე.

დეპეშაში, რომელიც გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობის თავმჯდომარეს სეკუ ტურეს გაეგზავნა, დიდად შეფასებულია გვინეის რესპუბლიკის ღონისძიებები მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ყველა ხალხის მეგობრული თანამშრომლობის განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის კვლავაც წარმატებით განვითარდება ორივე ხალხის საკეთილდღეოდ და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

უკრაინის კომპარტიის ცკ პლენუმი

კიევი, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა პლენუმი უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია უკრაინის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ.

პლენუმმა აირჩია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: პრეზიდიუმის წევრები: ა. ი. გაეევი, ო. ი. ივაშჩენკო, ი. პ. კაზანეცი, ნ. ტ. კალჩენკო, დ. ს. კოროტჩენკო, ნ. ვ. პოდგორნი, ი. ხ. სენინი, პ. ე. შელესტი, ვ. ვ. შჩერბიცკი. პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები: ნ. დ. ბუბნოვსკი, ა. დ. სკაბა, ვ. კ. კლიმენკო, პ. კ. კოშევოი.

არჩეულია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, მეორე მდივანი ი. პ. კაზანეცი, მდივნები ნ. დ. ბუბნოვსკი, ა. ი. გაეევი, ო. ი. ივაშჩენკო, ა. დ. სკაბა.

საგეიმო ჰრება თბილისში

მოძმე ჩინელი ხალხის დღესასწაულის აღსანიშნავად

იმ გულწრფელი პატივისცემისა და მეგობრობის გამოხატულება, რომლითაც საქართველოს მშრომელნი არიან გამსჭვალულნი დიდი ჩინელი ხალხის მიმართ, აყო დიდი საღამო, რომელიც 2 ოქტომბერს თბილისში რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-12 წლისთავის აღსანიშნავად.

პრეზიდიუმში არიან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ტ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუქავა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. პ. ბუაჩიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები რ. ი. ფრუიძე, ს. კ. ჩხარტიშვილი, ე. ა. სალუქვაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ა. გიგოშვილი და სხვ.

კრებაზე გამოვიდნენ და გულითადი მილოცვა გადასცეს ჩინელ ხალხს ს. მ. კიროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის მექანიკოსმა ა. გ. პაიჭაძემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ნ. ვ. ანთელავამ, რომლებიც იყვნენ ჩინეთში, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა გრეტა გოოგოძემ.

საღამოს მონაწილეებმა მიიღეს მისალმებელი დეპეშა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის სახელზე.

საღამო დამთავრდა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტით.

გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს

ბაქო, 30 სექტემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტნის ასსრ პარტიული კომიტეტების პროპაგანდისტთა თვიური სარესპუბლიკათაშორისო კურსები.

მსმენელები სწავლობდნენ პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტებს. მათ ლექციებს უკითხავდნენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, მეცნიერები. ცხოველ შემოქმედებითს დისკუსიებში მიმდინარეობდა თეორიული სემინარები.

მსმენელებს სიტყვით მიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა.

სსრ კავშირის დელეგაციის განცხადება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს შესახებ

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოქვეყნა განცხადება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ხელმძღვანელობის საკითხის დროებითი გადაჭრის შესახებ“.

განცხადებაში ხაზგასმულია:

ამ უკანასკნელ დღეებში ამერიკის პრესა ბეჭდავს ცნობებს, რომლებიც აშკარად ამახინჯებენ საბჭოთა დელეგაციის პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ხელმძღვანელობის საკითხის დროებითი გადაჭრის შესახებ. არის ცდები სსრ კავშირის პოზიცია დასახონ როგორც ვითომდა მიმართული თითქმის ვეტოს გამოყენებისაკენ სამდივნოს ხელმძღვანელი რგოლის ყოველდღიურ მუშაობაში.

ყველა ამ ცნობის მიზანია შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი და ამასთან შეეცადონ ამ წრეების პოზიციის გამართლებას, რომლებიც კვლავ იცავენ ერთი ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის გავლენისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატის დამორჩილების ძანკერ პრაქტიკას. ეს წრეები ცდილობენ შეინარჩუნონ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნების წინააღმდეგ ორგანიზაციის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის ცალმხრივი ორიენტაცია და ძიძაღრეონ მისი ნამდვილი საერთაშორისო ხასიათის ლიკვიდაციას.

საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურისა და მისი სამდივნოს ძირეულად რეორგანიზაციის საკითხში ერთხელ კიდევ დადასტურებულ იქნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ა. გრომიკოს გამოსვლაში გენერალური ასამბლეის XVI სესიაზე.

ახლანდელ პირობებში, როგორც აღნიშნული იყო ამ განცხადებაში, სსრ კავშირის დელეგაციას შესაძლოდ მიაჩნია მიღებულ იქნეს შეთანხმებული დროებითი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მეუფლებელ ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას მუდმივი გადაწყვეტილებების მიღებამდე, — „ეს არ გაორძავებს სახელმწიფოს შორის არსებულ უთანხმოებას, არამედ კიდევ უფრო მტკიცე ბაზას შექმნის მათი თანაბარძრომლობისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში“.

აზრთა გაზიარების მსვლელობაში, რაც საბჭოთა დელეგაციას ჰპოვნდა ამ უკანასკნელ დღეებში სხვადასხვა სახელმწიფოს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან, მან წამოაყენა შემარიგებლური წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს დროებითი ხელმძღვანელობის შესახებ. ამ წინადადების არსი ის არის, რომ გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, მოიწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებში ცნობილ ერთ-ერთ მოღვაწეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ხელმძღვანელად გარკვეული ვადით (1963 წლის აპრილამდე) და რომ როგორც უშიშროების საბჭო, ისე გენერალური ასამბლეა მიმართავენ მოწოდებით, რომ ეს პირი და მისი სამი მოადგილე, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სამდივნოს ხელმძღვანელ რგოლში და არიან მაღალკვალიფიციური საერთაშორისო მუშაკები სსრ კავშირიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და აზიის ან აფრიკის ერთ-ერთი ქვეყნიდან, მოქმედებენ თანხმობის სულისკვეთებით.

საბჭოთა დელეგაციამ განმარტა, რომ მას არა აქვს მხედველობაში ვეტოს გამოყენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრაციული აპარატის დროებითი მეთაურის რომელიმე ამ მოადგილის მხრივ. ამავე დროს იგი ყოველდღიურად უნდა თანამშრომლობდეს თავის მოადგილეებთან, ისევე როგორც მოადგილეები მასთან, და ცდილობდეს მიაღწიოს ურთიერთთანამშრომლობას სამდივნოს საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. ეს წინადადებანი გამომდინარეობდნენ სურვილებიდან, რომლებიც ამ ბოლო დროს არაერთხელ გამოუთქვამს ბევრ დელეგაციას გენერალური ასამბლეის XV სესიის მსვლელობაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოში, რომლებიც ადმინისტრაციულ საკითხებზე მუშაობდნენ.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ვინც დაინტერესებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის ნორმალიზაციით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილი უველა ქვეყნის საქმიანი ყოველდღიური თანამშრომლობით, არ შეიძლება არ შეუერთდეს იმ წინადადებებს, რომლებიც მან წამოაყენა სახელმწიფოთა ძირითადი ჯგუფების აზრის გათვალისწინებით და უარყოფს ყოველგვარ ცდას თავს მოახვიონ გენერალურ ასამბლეას ცალმხრივი გადაწყვეტილება უშიშროების საბჭოსათვის გვერდის ავლით, რამაც შეიძლება მხოლოდ ძირი გამოუთხაროს, თვით საფუძველს, რომელსაც ეყრდნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

ამხანაგ ოჯო ვილჰელმის-ძე კუუსინენს



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, დიდი ლენინის ერთგულ მოწაფეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს.

მთელი შეგნებული ცხოვრება თქვენ მოახმარეთ მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლას. მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის წინააღმდეგ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის უველა პოსტზე თქვენ უანგაროდ ახმარდით და ახმართ თქვენს ძალღონეს, ცოდნასა და ცხოვრების დიდ გამოცდილებას კომუნიზმის დიად საქმეს.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო ოტო ვილჰელმის-ძეო, მრავალ წელს ჯანმრთელად ყოფნას და ნაყოფიერ მოღვაწეობას მშრომელთა საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ ო. ვ. კუუსინენისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ო. ვ. კუუსინენის დაბადების მეოთხმოცე წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად მივიჩნიოთ ამხანაგ ოტო ვილჰელმის-ძე **კუუსინენს სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და უროო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 2 ოქტომბერი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის სიტყვა

ამხანაგო დელეგატებო!

საბჭოთა ხალხის დიდ შემოქმედებითს შრომაში ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებსაც. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებისა და მშენებლობების მუშაკებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები და ორგანიზაციები შეხვდნენ მნიშვნელოვანი მიღწევებით მრეწველობის შემდგომ განვითარებაში.

განსაკუთრებით სასიხარულოა წარმატებები, რომლებიც უკანასკნელ წლებში მიღწეულია ინდუსტრიის ისეთ დარგებში, როგორიც ორის მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა და შავი მეტალურგია. საკმარისია ითქვას, რომ 1957 წელთან შედარებით მანქანათმშენებლო მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა ერთიორად და უფრო მეტად, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობისა — თითქმის ხუთჯერ. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რუსთავის მანქანათმშენებლო მრეწველობამ ქვეყანას მისცა თითქმის 16 ათასი ლითონსაჭრელი ჩარხი, ათეულ ათასობით სატვირთო ავტომობილები, ასობით კომბაინი ამწეები, მიწისამწევები. მცურავი სატუმბავი სადგურები, 25 მილიონი მანეთის ტექნოლოგიური მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები ქვების მრეწველობათვის, მრავალი ასეული ტრაქტორი, სამუქის შესატანი და ჩაის გასასხლავი ამანათები, საკვები სტრაქტორო კულტივატორები და სხვა პროდუქცია.

სწრაფი ტემპებით ვითარდება რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და მხარდა დარგი—ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობა, რომელიც სულ სამიოდე წლის წინათ შეიქმნა.

შავი მეტალურგიის პროდუქციის წარმოების ზრდამ 1957 წელთან შედარებით შეადგინა 21 პროცენტი, ამქვილის ფოლადის წარმოება გადიდდა 42 პროცენტით, მილსადენისა — 48 პროცენტით, მზა ნაგლინისა — 19 პროცენტით და ფერროშენადნობებისა — 71 პროცენტით.

ფართოდ ვითარდება ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამოშვება.

ამ წლების მნიშვნელოვან გადიდება ჩვენი მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიც საერთო პროდუქციის მოცულობა.

რესპუბლიკის მრეწველობის განვითარება შეიძლება ითქვას, რომ უკეთ წარმოებს არსებული საწარმოო ფართობებისა და სიმძლავრეების გამოყენება, საქმიანობაში ფართოდ დაინერგა ახალი სამრეწველო საწარმოების, ახალი ტექნიკით მათი აღჭურვა, არსებული მოწყობილობის მოდერნიზაცია. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა საწარმოო პროცესების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ. ღონეგილება ათობით ავტომატიზებული ხაზი, ასწყობის კონვეიერები და თანამედროვე მეცნიერების და ტექნიკის სხვა მიღწევები.

ყველა ჩამოთვლილი ღონისძიების განხორციელების შედეგად სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში მოხდა დიდი სტრუქტურული ცვლილებანი, რომლებიც უფრო ეფექტურად და ეკონომიურად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებათა ზრდას.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა საწარმოს ხელმძღვანელები ღრმად სწავლობდნენ წარმოების ეკონომიკას და სათანადო ყურადღებას უთმობდნენ მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების ეფექტურ გამოყენებას. ამიტომ პროდუქციის მთელ რიგ დარგებში და კიბეტლურ მშენებლობაში არა მარტო არ მცირდება ხასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, მათ შორის დაუდგმელი მოწყობილობის ზენორმატიული ნარჩენები, არამედ პირიქით, იზრდება. ეს მნიშვნელოვანწილად იხსნება კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენით და მთელი რიგი სამრეწველო ობიექტების საკვლისტაციო გადაცემის გაჭიანურებით.

პირადპირ უნდა ითქვას, რომ კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობა შეშფოთებას იწვევს. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებული იყო 79 პროცენტით, ამედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა—91 პროცენტით, უფრო ცუდად არის რეა თვის გეგმის შესრულების საქმე. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა შეიქმნა უმნიშვნელოვანეს ასომუშაგებელ ობიექტებზე. მაგალითად, ქაროლქალაქის წარმოების მშენებლობაზე კაპიტალურ სამუშაოთა რეა თვის გეგმა შესრულებულია 49 პროცენტით, სინთეზური ბოჭკოს ქარხნისა — 87 პროცენტით, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ობიექტებზე — 76 პროცენტით და კვების მრეწველობის ობიექტებზე — 72 პროცენტით.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ, აგრეთვე სხვა სამშენებლო ორგანიზაციებმა ხელმძღვანელობა ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, ყოველი ღონისძიებით დაიჩქარონ სამრეწველო მშენებლობის და პირველ რიგში ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობის ტემპები.

უკანასკნელ წლებში ბევრი გაკეთდა სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისდა, და ამ საქმეში ზოგიერთი წარმატებები უთუოდ მოგვეპოვება. ამას მოწმობს რეკლამაციებისა და ჩვენი საქონლის ხარისხზე საჩივრების არსებითი შემცირება. მიუხედავად ამისა, ძირეულ გარდატეხას ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. განსაკუთრებით ბევრი პრეტენზია მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის ხარისხზე. ჩვენი მომხმარებლები სამართლიანად ეჩივიან ქსოვილების ცუდ გაფორმებას, ღეზსაცმლის ჩამორჩენილ ფასონებს, სამკერვალო ნაწარმის დაბალ ხარისხს. ჩვენ, სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკებმა, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ დავძლიოთ სიძნელეები ამ გზაზე და მომხმარებლებს მივცეთ ისეთი საქონელი, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას.

ამხანაგებო! ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის ზრდის შესანშნავი პერსპექტივები, რომლებიც დასახულია პარტიის პროგრამის პროექტში, მოგვეწოვებენ დიდი საქმეებისაკენ, ახალი შრომითი შემოქმედებისაკენ.

ნება მომეცით პირობა მივცე ყრილობის დელეგატებს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მშრომელები ყველა ძალას და ენერგიას არ დაიშურებენ იმისათვის, რათა პირნათლად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები და ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში. (ტაში).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე

✦

ვენ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტები და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები. მათ სამრეწველო საწარმოების კოლექტივებთან თანამეგობრობით შექმნეს ათეული რიგი ორიგინალური მანქანები და ხელსაწყოები.

ამხანაგებო! წარმატებებთან ერთად სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაობაში იყო სერიოზული ნაკლოვანებებიც. ჩვენი მიღწევები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, სამრეწველო საწარმოების უკეთ ხელმძღვანელი რომ სრულად იყენებდეს არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს წარმოების მოცულობის გადიდებისათვის. სახელმწიფო საგეგმო დავალებათა უთუო შესრულებისათვის. სამწუხაროდ, იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებენ, კვლავ მნიშვნელოვანია. მიმდინარე წლის რვა თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალება ვერ შესრულა 87 საწარმომ, ანუ საწარმოთა საერთო რიცხვის 16,5 პროცენტმა. ამასთან იმ საწარმოთა ხვედრი, რომლებმაც გეგმები ვერ შეასრულეს, საკვებ გეგმა, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის, სამენი მასალების, საფეიქრო, მსუბუქი, ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოებზე მოდის.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა საწარმოს ხელმძღვანელები ღრმად სწავლობდნენ წარმოების ეკონომიკას და სათანადო ყურადღებას უთმობდნენ მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების ეფექტურ გამოყენებას. ამიტომ პროდუქციის მთელ რიგ დარგებში და კაპიტალურ მშენებლობაში არა მარტო არ მცირდება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, მათ შორის დაუდგმელი მოწყობილობის ზენორმატიული ნარჩენები, არამედ პირიქით, იზრდება. ეს მნიშვნელოვანწილად იხსნება კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენით და მთელი რიგი სამრეწველო ობიექტების საკვლისტაციო გადაცემის გაჭიანურებით.

პირადპირ უნდა ითქვას, რომ კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობა შეშფოთებას იწვევს. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებული იყო 79 პროცენტით, ამედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა—91 პროცენტით, უფრო ცუდად არის რეა თვის გეგმის შესრულების საქმე. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა შეიქმნა უმნიშვნელოვანეს ასომუშაგებელ ობიექტებზე. მაგალითად, ქაროლქალაქის წარმოების მშენებლობაზე კაპიტალურ სამუშაოთა რეა თვის გეგმა შესრულებულია 49 პროცენტით, სინთეზური ბოჭკოს ქარხნისა — 87 პროცენტით, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ობიექტებზე — 76 პროცენტით და კვების მრეწველობის ობიექტებზე — 72 პროცენტით.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ, აგრეთვე სხვა სამშენებლო ორგანიზაციებმა ხელმძღვანელობა ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, ყოველი ღონისძიებით დაიჩქარონ სამრეწველო მშენებლობის და პირველ რიგში ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობის ტემპები.

უკანასკნელ წლებში ბევრი გაკეთდა სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისდა, და ამ საქმეში ზოგიერთი წარმატებები უთუოდ მოგვეპოვება. ამას მოწმობს რეკლამაციებისა და ჩვენი საქონლის ხარისხზე საჩივრების არსებითი შემცირება. მიუხედავად ამისა, ძირეულ გარდატეხას ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. განსაკუთრებით ბევრი პრეტენზია მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის ხარისხზე. ჩვენი მომხმარებლები სამართლიანად ეჩივიან ქსოვილების ცუდ გაფორმებას, ღეზსაცმლის ჩამორჩენილ ფასონებს, სამკერვალო ნაწარმის დაბალ ხარისხს. ჩვენ, სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკებმა, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ დავძლიოთ სიძნელეები ამ გზაზე და მომხმარებლებს მივცეთ ისეთი საქონელი, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას.

ამხანაგებო! ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის ზრდის შესანშნავი პერსპექტივები, რომლებიც დასახულია პარტიის პროგრამის პროექტში, მოგვეწოვებენ დიდი საქმეებისაკენ, ახალი შრომითი შემოქმედებისაკენ.

ნება მომეცით პირობა მივცე ყრილობის დელეგატებს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მშრომელები ყველა ძალას და ენერგიას არ დაიშურებენ იმისათვის, რათა პირნათლად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები და ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში. (ტაში).

ამხ. პ. ფ. სვუჩენკოს სიტყვა

ამხანაგო დელეგატებო!

ნება მიბოძეთ ჩემი გამოსვლა დავიწყო იმით, რომ გულითადი მადლობა გადავუხადო ყრილობის დელეგატებსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმ გულთბილი სიტყვებისა და სურვილებისათვის, რაც გამოითქვა ყრილობის გახსნისას ამიერკავკასიის ოლქის ჯარების მიმართით. (მქუხარე ტაში).

ეს ძალიან სასიამოვნო და სასიხარულოა ჩვენთვის და ერთხელ კიდევ მოწმობს არმიისა და ხალხის ერთიანობას.

როგორც საანგარიშო მოხსენებიდან ჩანს, ქართველი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხი, წარმატებით აშენებს კომუნიზმს. ეს არ მოსწონთ კომუნიზმის მტრებს. ისინი ყოველგვარ საბაბს ეძებენ, რომ პროვოკაციულად გამოიწვიონ ომი სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ იმპერიალისტურ ბანაკში უგუნურ ადამიანებს არა სჭირთ შეიგნონ, რომ საზოგადოებრივი განვითარების ულმობელი კანონები, რომლებიც დადასტურებულია ისტორიულ მოვლენათა მთელი მსვლელობით, გასწვალიან, რომ კაპიტალიზმი კი არ მოსპობს სოციალიზმს, არამედ დედამიწაზე ბატონ-პატრონივით მიაბიჯებს კომუნიზმი და შეცელის ძირძმობილ კაპიტალიზმს.

ეს ისევე სწორია, როგორც სწორია ის, რომ მზე ყოველდღე ამოდის აღმოსავლეთიდან და არა დასავლეთიდან.

საქართველოს მოპოვებულ სახელმწიფოში — იმპერიალისტთა ავრცელებული ბლოკის „სენტოს“ წევრ თურქეთში გაძლიერებული სამხედრო მზადება მიმდინარეობს. თურქეთის ტერიტორიაზე ქმნიან ატომური იარაღის საწყობებს; თურქეთში გადასხეს ამერიკის შეერთებული შტატების 101-ე საჰაერო სადესანტო დივიზიის ნაწილები, როგორც ამას გაზეთები იუწყებოდნენ.

იმპერიალისტთა ასეთი ქცევა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დიდი ხანია შეაფასეს როგორც რეალური საფრთხე მშვიდობისათვის. პარტიის ახალი პროგრამის პროექტში შემთხვევით როდია ჩაწერილი, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი, იარსებებს აგრესიული ომების საფრთხეც. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული ძალები მუდამ უნდა იდგნენ მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, მუდამ უნდა იყონ მზად თავიანთი სამშობლოს შეიარაღებული დაცვისათვის.

ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტის ეს ამოღელებელი სიტყვები გულში ჩასწვდა თვითეულ ჯარისკაცს, სერჟანტსა და გენერალს, რომლებიც ფხიზლად იცავენ ჩვენი სახელმწიფოს წმინდა სამხრეთ საზღვრებს — საბჭოთა ამიერკავკასიის საზღვრებს, რომლის ხალხები მომმე ხალხთა მეგობრულ ოჯახში წარმატებით აშენებენ კომუნიზმს.

ამიერკავკასიის ოლქის მეომრები კმაყოფილებით ჭდეგნებენ თვალს საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის წარმატებით გახეთარებას. ისინი ამაყობენ ამ წარმატებებით, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ თავისი ხალხის პირმშოს და მასთან ერთად ერთი ცხოვრებით, ერთი ინტერესებით ცხოვრობენ.

განა ხალხებსა და საბჭოთა არმიას შორის ამ მეგობრობის ძალას არ მოწმობს გმირობა მებრძოლ ომარ ჯოხაძისა, რომელმაც თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე შესწირა სომეხი ბავშვის აშოტ მარტიროსიანის გადარჩენას?

ეს ასე მოხდა. საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანს, საქართველოს სსრ ამბროლაურის რაიონის მკვიდრს, ჯარისკაც ჯოხაძეს სარდლობის დავალებით კავშირგაბმულობის ხაზი გაჰყავდა გზის გაყოლებით. იქვე გზაზე იღგა რვა წლის აშოტ მარტიროსიანი. უცებ გზაზე ავტობუსი გამოჩნდა. დიდი სისწრაფით იგი პირდაპირ ბავშვისაკენ მოჰქროდა. მისი დაღუპვა გარდუვალი იყო. მაგრამ ჯოხაძე მივარდა ბავშვს და გზიდან გადმოაგდო, მაგრამ თვითონ ვერ მოასწრო გადახტომა და მანქანის ქვეშ დაეცუპა.

ოლქის მეურ აღძრულია შეკმაგომლობა, რომ გმირი საკვდილის შემდეგ დაჯილდოებულ იქნას მთავრობის ჯილდოთი.

ხალხისადმი, პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი თავიანთ ერგულებასა და სიყვარულს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრები ადასტურებენ პირველ რიგში საქმეებით, რომელიც მომართულია სამშობლოს მხედველობის დაცვისათვის თავიანთ საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისაკენ.

პარტიის მომაეალი XXII ყრილობის აღსანიშნავად ოლქში ფართოდ გაიაღდა სოციალისტური შეჯიბრება, იზრდება საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა რიგები.

ჩვენ გვყავს ჩვენი „შუქურები“, რომელთაგან მაგალითის გადასაღებად მოუწოდებენ ოლქის ყველა მეომარს ჩვენი პარტიული ორგანიზაციები და მეთაურები. მათ შორის ცოტა რიგი არიან ქარგეომელი მეომრებიც, რომლებიც ყველა ეროვნების მებრძოლთა მეგობრულ ოჯახში წარმატებით ეუფლებიან სამხედრო სპეციალობებს. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს. კაპიტანი კუტაბაშვილი — ნაწილის საუკეთესო ქვეგანაყოფის მეთაური, პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე; უფროსი სერჟანტი ჭკადაცელია, ნაწილის საუკეთესო ოცეულის მეთაურის მოადგილე, ნაწილის კომკავშირული კომიტეტის წევრი, პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად მეომართა შეჯიბრების უნარიანი ორგანიზატორი. მოწინავეებს ეკუთვნიან: კაპიტანი კობალოვა, პოლკოვნიკი მარუთიძე, მაიორი ნიქოლაძე, სამედიცინო სამსახურის მაიორი კაჭახიძე, უფროსი ლეიტენანტი ჰინჩიგაშვილი, რიგითი მებრძოლი ბუბაშვილი და მრავალი, მრავალი სხვა.

საბრძოლო მომზადების ამაღლების შესახებ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ. სამსახურის მესამე წლის ჯარისკაცები და სერჟანტები, რომლებიც სამხედრო ვალდებულების თანახმად, რათა არ შესუსტდეს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა, დროებით არიან დატოვებული ნამდვილ სამხედრო სამსახურში, უპასუხებენ თავიანთი სამხედრო მზადყოფნის გაძლიერებით. სამხედრო სამსახურში დატოვებული ჯარისკაცებისა და სერჟანტების მშობლები ნაწილში გზავნიან პატრიოტულ წერილებს, რომლებიც ხელს უწყობენ ოლქის მეომრების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობის ამაღლებას.

ამხანაგო დელეგატებო! ნება მიბოძეთ ამიერკავკასიის ოლქის ყველა მეომრის სახელით პირობა მივცე საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას, რომ თუ იმპერიალისტები შეეცდებიან გააჩაღონ ახალი ომი და ჩვენს სამშობლოზე თავესხმის საბაბად გამოიყენებენ „ბერლინის სასოხს“, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან რუსები, ქართველები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაიცავენ აყვავებულ მზიურ საქართველოს, როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ნაწილს! (ტაში).

ამხ. ე. შ. ჯიბუტის სიტყვა

ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუაგანახლების კოლმეურნეობის მეჩაიე

✦

სასიხარულო ღღეებს განიცდის მთელი ჩვენი ქვეყანა, ყველა საბჭოთა ადამიანი. დიდი შრომითი აღმავლობით, ახალი წარმატებებით ეგებებიან მშრომელები მშობლიური პარტიის XXII ყრილობას.

მე, უბრალო მეჩაიე ქალს, შრომა დამიფასდა, მონიშნებული მაქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, არჩეული ვარ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და ვესწრები ამ ყრილობას როგორც დელეგატი.

ჩაის კრეფაში წარმატებისათვის ჯერ კიდევ მოსწავლე ორი მეუღლით დამაჯილდოეს, ხოლო 1949 წლიდან ჩაის ფართობიც ჩავიბარე მოსაკელად, 1950 წელს ნახევარ ჰექტარზე 6.154 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე.

წელს გადავწყვიტე სკკპ XXII და საქართველოს კპ XXI ყრილობებს ახალი წარმატებით შევხვედროდი. ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით ნახევარ ჰექტარზე მოვკრიფე 8.000 კილოგრამი ბარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ვალდებულებამოხდილი მოვედი ყრილობაზე.

ახლა სოფელ შუაგანახლების მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მე ვმუშაობ, ჩაის ფოთლის კრეფის ოპტატები არეთა სიხარულიძე, ნინო ჯიბლაძე, სონია სიხარულიძე, ქეთო ყაჯეიშვილი, მარგალიტა წიქორია, გოგოლა სიხარულიძე, ეკატერინა ჩამბახიძე და მრავალი სხვა წუთსაც არ კარგავენ უქმად. მიმდინარე წელს კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. მოკრეფილია 253 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხეხილი გაშენდა 1,5 ჰექტარზე, ვენახი—1 ჰექტარზე, ჩაი — 3,5 ჰექტარზე, სიმინდი დაითესა 140 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 30 ცენტნერ მოსავალს.

ჩვენს კოლმეურნეობაში კვლავ ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარე წლის სეზონში ბუნებრივი პირობები ისეთი იყო სახარბიელო, მაგრამ შრომის უკეთესმა ორგანიზაციამ, წამახალისებელ ღონისძიებათა განხორციელებამ, გამოცდილების ურთიერთგაზიარებამ დადებითი შედეგები გამოიღო. რაიონში ვაღაზე ადრე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, და ახლა გაჩაღებულია ბრძოლა ნაკისრი ვალდებულების უთუოდ შესრულებისათვის.

ქალი დიდი ძალა გახდა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე. ქალთა ძალებით წელს მოკრეფილია 4.570 ტონა ჩაის ფოთოლი, დამზადდა 130 ტონა აბრეშუმის პარკი.

ამხ. ფ. ს. დულაშვილის სიტყვა

პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი

✦

კომუნიზმი გმირული, თავდადებული შრომით შენდება. ეს კარგად ქქვთ შვენებული გურჯაანის რაიონის მშრომელებს, რომლებიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად წარმატებით მონაწილეობენ საბჭოთა ქვეყნის წინსვლის, მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში.

გურჯაანის რაიონის მშრომელთა ყოველდღიურ საქმიანობას სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს კომუნისტთა სამთანაანი კოლექტივი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუჯანსაღდა რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა რაიონის წინაშე დასახულ საბრძოლო ამოცანათა განხორციელებისათვის. ისინი უფრო ღრმად ჩასწვდნენ წარმოებას, მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა დაუქვემდებარეს შეიდწერიანი გეგმიდან გამომდინარე საბრძოლო ამოცანების შესრულების ინტერესებს და მასზე პარტიის კვლავრის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიული პროპაგანდა. პოლიტიკური განათლების სხვადასხვა ფორმაში 1960-61 სასწავლო წელს ჩაბმული იყო 2.650 ამხანაგი, მათ შორის 600-ზე მეტი უპარტიო. განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმო ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას, რასაც ყოველთვის შედეგად მოსდევს მეურნეობის უნარიანი წარმართვა, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება.

საგულისხმოა სოფელ ელისციხის კომლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ პარტიული ორგანიზაციის მაგალითი. აქ შექმნილი იყო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი ორი წრე. სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან და ბრიგადირებთან ერთად წრეებში ჩაბმული იყვნენ რგოლების ხელმძღვანელები და ბრიგადის აქტივისტი კომლეურნეები. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება წელს ელისციხელ მევენახეთა წარმატება. მათ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 80 ცენტნერზე მეტი ყურძენი მიიღეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.600 ტონისა, ღვინო ქარხანას ჩაბარეს 2.400 ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული.

პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააცარათეს ლექციური პროპაგანდა, ლექციები თანამედროვეობის მნიშვნელოვან საკითხებზე, გარდა საწარმოდაწესებულებებისა, კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კლუბებისა, ხშირად იკითხება საცხოვრებელ უბნებშიც.

1960 წლიდან რაიონული გაზეთის „საკოლმეურნეო შრომის“ რედაქციაში შექმნება პრობაგანდის შტატგარეშე განყოფილება, რომელიც პერიოდულად ამზადებს და გაზეთში აქვეყნებს საინტერესო მასალებს რაიონის პარტიული ცათვრებიდან.

პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა ხელი შეუწყო რაიონში მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში, მაგრამ მაინც არის ნაკლოვანებანი. სათანადო ყურადღება არ ექცევა კურორტებს ბაბმაროსა და ნაბეღლავს. უნდა მოეწყოს საავადმყოფოს რეკონსტრუქცია, აიგოს სამშობიარო სახლის ახალი შენობა, კულტურის სახლი და ჩაის მესამე ფაბრიკა.

ნელა და გაუბედავად ინერგება ჩაის სამუშაოთა მექანიზაცია. ჩვენ გვაქვს საკულტივაციო, საფუმგაციო, სასხლავი და სხვა მანქანები, მაგრამ ისინი მეტად ძვირია. საჭიროა განხორციელდეს სერიოზული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

რაიონის პარტიული ორგანიზაციის სახელით პირობას ვაძლევ ყრილობას, რომ რაიონის მშრომელები მთელ ძალებს დარაზმავენ მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, საბჭოთა ხალხო დოვლათის გამრავლებისათვის. (ტაში).

ამხ. პ. დ. თხილაიშვილის სიტყვა

საქართველოს კპ XXI ყრილობის ამბარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

✦

კომუნიზმის მშენებლობის დიადმა პროგრამამ დიდი აღფრთოვანება და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ახალი ძალით გაჩაღდა სკკპ XXII ყრილობამდე მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. თავდადებული შრომის შედეგად მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარებისა და მოსახლეობის მატერიალური ეკეთილდღეობის ამაღლების საქმეში თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული.

მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა აჭარის სამრეწველო საწარმოებმა 102,4 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს დიდძალი სამრეწველო პროდუქცია და ფართო მოხმარების საგნები. რვა თვის მონაცემებით შესრულებულია აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებები. შეიდწლეული ფონდში შეტანილია ერთი მილიონ 500 ათასი მანეთი.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს საწარმოებში ახალი ტექნიკის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს როგორც საბინაო, ისე სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლა-ინტერნატების სასწავლო და საძინებელი კორპუსები, უკვე მთავრდება საავადმყოფოს ორი შენობა ბათუმში და ქობულეთში, სამშენებლო ორგანიზაციები იბურებენ მშენებლობისათვის საჭირო თანამედროვე მანქანებითა და მექანიზმებით. მწყობრში ჩადგა სახლთსამშენებლო კომბინატი, ბეტონის ქარხანა, რომლის მეშვეობით ბეტონის დიდი ნაწილი ბათუმში ქალაქ ბათუმში.

მიუხედავად მოპოვებული მიღწევებისა, ბევრი საწარმოს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარების 9, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების 11 საწარმომ ვერ შეასრულეს საწარმოო დავალება და სახელმწიფოს დააკლეს ასეულ ათასობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია. პარტიის საოლქო კომიტეტმა დეტალურად შეისწავლა საწარმოთა მდგომარეობა და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აბორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, აჭარის მშრომელებმა საანგარიშო პერიოდში საგრძნობი წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში.

აჭარაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლამ ახალი საგმირო საქმეებისათვის ალაფრთოვანა აჭარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი. აჭარის მეჩაიეებმა, მუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, ვადაზე ადრე 12 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ვალდებულების ანგარიშში უკვე

(დასასრული მე-8 გვერდზე).

ამხ. ს. გ. მასხარაშვილის სიტყვა

ახალქალაქის რაიონის ოკამის მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

✦

ამხანაგო დელეგატებო!

რაც უფრო ახლოვდება სკკპ XXII ყრილობა, მით უფრო ძლიერად ჩაღდება ახალქალაქის რაიონის მშრომელთა შორის სოციალისტური შეჯიბრება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვამ მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია.

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, ვალდებულებას კისრულობენ სამეურნეო წლის ბოლომდე მიაღწიონ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში.

ოკამის მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა ოთხი წლის წინათ სუსტი, ეკონომიურად ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ბაზაზე. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მუშაობის შედეგები დ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. პ. დ. თხილაიშვილის სიტყვა

(დასასრული)

მოკრეფილია 713 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

აჭარის მეჩაიეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ ნაკისრმა ვალდებულება — მოკრიფონ და სახელმწიფოს გემის გადამტებით ჩააბარონ 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები თანდათანობით იზრდება. თუ წინათ ერთეული მკრეფავები აღწევდნენ სარეკორდო მოსავლის მიღებას, ამჟამად მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

ყველა საშუალება და შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ აჭარის მშრომელებმა წარმატებით შეასრულონ აღებული ვალდებულებანი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დარგში. კერძოდ, მიმდინარე წელს უნდა დაემატებოთ ნახევარი მილიარდი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 2.725 ტონა თამბაქო, 5.000 ტონა ტუნგოს ნაყოფი, აგრეთვე წარმატებით შეასრულოთ ხილეს, ყურძნისა და მეცხოველეობის პროდუქტების ძალზედის ვალდებულებები.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მოპოვებული ერთგვარი მიღწევები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერია გაკეთებული პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის. ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები მრეწველობის ცალკეულ საწარმოებში და საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს მასობრივ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საქმეში, პრომპაგანდა მიუახლოვდა კომუნისტური შრომგმირობის გაუქმებულ ბესების

კომუნისტი

ორგანო საქართველოს სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ორშაბათი, 3 ოქტომბერი, 1960 წელი

№ 233 (7911)



ᲓᲘᲓᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ

ᲓᲦᲔᲡ თბილისის „ჭარიშხალას“ სტადიონის სარბენ ბილიკებზე გამოვა საბჭოთა კავშირის 1.500 უძლიერესი მძლეოსანი — 15 მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებიც ექვსი დღის განმავლობაში იბრძოლებენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისათვის.

დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში გამოვლინდებიან უძლიერესი კოლექტივები, რომელთა რიგებშიც არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები, სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები, ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მძლეოსნები.

საბჭოთა კავშირის მიმდინარე ჩემპიონატი რიგით ოცდამეცამეტეა. პირველი საკავშირო გუნდური პირველობა მძლეოსნობაში 1922 წელს ჩატარდა.

საბჭოთა მძლეოსნებს უკანასკნელი წლების მანძილზე მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებები აქვთ მოპოვებული. მათ მიმდინარე წელს „გიგანტების მატჩში“, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატების ნაკრები გუნდების შეჯიბრებაში მესამეჯერ დაამარცხეს უძლიერესი მეტოქე. დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს უკრაინის მძლეოსნებმა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან და რსფსრ გუნდმა ინგლისის ნაკრებ გუნდთან შეხვედრების დროს.

საბჭოთა მძლეოსნების თავისებური სააჩუქარია სკკპ XXII ყრილობისადმი ვალერი ბრუმელის, თამარ და ირინე პრესების, ტატიანა შჩელკანოვას, გრიგოლ ტარანის მსოფლიო რეკორდები, იგორ ტერ-ოვანესიანისა და იური კუტენკოს ევროპის რეკორდები, ვასილ რუდენკოვის, ვიტოლდ კრუერის, ვასილ სიდენკოვის, კიმ ბუზანცევისა და ვლადიმერ ტრუსენიოვის საკავშირო რეკორდები.

პოსლედნელია, რომ მიმდინარე პირველობაზე არა ერთი და ორი რეკორდი იქნება გაუმჯობესებული, რადგან ყველა ზემოჩამოთვლილი მძლეოსანი და კიდევ ბევრი სხვა ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენი აღნიშნული შეჯიბრების მონაწილეები არიან.

ცნობილია, რომ სსრ კავშირის პირადგუნდურ პირველობაზე მოპოვებული იქნება ახალი მიღწევები. კარგი შედეგებით შეიძლება აღინიშნოს ჩვენი მძლეოსნების: ედუარდ ლომაძის (100 მ რბენა), რობერტ შავლაყაძის (სიმაღლეზე ხტომა), ლამარა ტუღუშის (ბადროს ტყორცნა), ალექსანდრე შჩერბინას (სპორტული სიარული), ოლეგ ხოლოდოკის და იური დიაჩკოვის (ათჭიდი), გურამ გუდაშვილის (ბადროს ტყორცნა), კარლო გორძემაშვილისა (შუბის ტყორცნა) და სხვათა გამოსვლები.

„ჭარიშხალას“ სტადიონი მზად არის მიიღოს ჩვენი სტუმრები გრანდიოზული შეჯიბრების ჩატარებისათვის. თბილისის სპორტული საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით მოელის მძლეოსანთა ამ დიდ ასპარეზობას.

ლ. გიორგაძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მძლეოსნობაში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა ერთი ჯგუფი: ოსტატი ლიუდმილა მოტინა (სსრ კავშირის რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში), სპორტის ოსტატი ვლადიმერ ტრუსენიოვი და ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ირინე პრესი.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ — ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲨᲘ გამართა მეგობრული არმიითა პირადი პირველობა შპაგით ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის, ენგლისის, რუმინეთის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 25 სპორტსმენი.

წინასწარი შეხვედრების შემდეგ ჩემპიონის ოქროს მედლისათვის ფინალურ ბრძოლაში მონაწილეობის უფლება 8 სპორტსმენმა მოიპოვა. საბჭოთა მოფარიკავემ გურამ კოსტავამ, რომელიც ფინალში ჩემპიონატის ყველაზე უძლიერეს მოწინააღმდეგეებს შეხვდა, ბრწყინვალედ ჩაატარა ბრძოლები და ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲙᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲫᲐᲛᲘ

ᲕᲔᲜᲘᲡ ჩემპიონატში გამარჯვებული საბჭოთა ძალოსნები მართავენ საჭეენებელ გამოსვლებს ავსტრიის ქალაქებში. ქვეყნის საშუალო წონის საბჭოთა ძალოსანმა ალექსანდრე კურინოვმა ერთ-ერთი ასეთი სანეენებელი გამოსვლის დროს ორი ჯერ მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან აიტაცა 136 კილოგრამიანი შტანგა და აკრა 171 კილოგრამი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

△ **ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ** ჩემპიონთა თასის გათამაშების სარწმუნოებაცო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ გათამაშების ფინალი გაიმართება 1962 წლის მაისის შუა რიცხვებში ამსტერდამში.

△ **ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲗᲝᲗᲐᲡᲘᲡ** გათამაშებიდან სრულიად მოულოდნელად გამოვარდა იტალიის გუნდი „მილანი“, რომელმაც დამარცხება (1:2) განიცადა იუგოსლავიის ქ. ნოვი-სადის ფეხბურთელთა ნაკრებთან.

△ **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ** ჩემპიონატში მესამე დამარცხება განიცადა შარშანდელმა ჩემპიონმა „ტოტენჰემმა“ (ლონდონი), რომელმაც ახგარიშით 0:2 წააგო „გემსტ ჰამთან“ (ლონდონი). ჩემპიონატს ლიდერობს „ბიორნლი“. მას 20 შესაძლებლიდან 17 ქულა აქვს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ — ᲛᲔᲪᲮᲔᲠᲔ

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ გამართა ფეხბურთელთა ქვეყნის პირველობის „ა“ კლასის გუნდების შორის.

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ აომიელთა სპორტული კლუბის ფეხბურთელები თავის მოედანზე შეხვდნენ კიევის დინამოელებს. შეხვედრა მოიგეს უკრაინელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 4:2.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „ტორპედო“ და „სპარტაკი“. 90-წუთიანი სპორტულად საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 3:2.

ᲑᲐᲙᲝᲕᲨᲘ ადგილობრივი „ავანგარდი“ შეხვდა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მატჩი გამართა ტამკენტის „პახტაკორთან“. შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 2:1.

XI-XXII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მატჩები ოგრეთვე XI-XXII ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს შორის. შედეგები ასეთია:

„დინამო“ (მოსკოვი)-“შახტიორი“ (სტალინო) — 3:1, „ზენიტი“ (ლენინგრადი)-„სპარტაკი“ (ვილნიუსი) — 3:0, „მოლდავა“ (კიშინიოვი)-„ადმირალტეეი“ (ლენინგრადი) — 2:1, „კალევი“ (ტალინი)-“დაუგავა“ (რიგა) — 2:3, „ქაირატი“ ალმა-ატა)-„წეფტინაკი“ (ბაქო) — 2:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი)-„ბელარუსი“ (მინსკი) — 2:0.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲑᲚᲔᲓᲨᲘ (იუგოსლავია) გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-18 ტური. უურადღების ცენტრში იყო ტალის, ფიშერისა და გლეგორიჩის პარტიები. ტურნირის ლიდერმა ტალმა პორტიშთან პარტია ყაიმით დაამთავრა. ყაიმზე შეთანხმდნენ ოგრეთვე გლეგორიჩი და კერესი. პეტროსიანი კრიტიკულ მომენტში უხერხი შეცდომის დაშვებით დამარცხდა ფიშერთან.

უკანასკნელი XIX ტურის წინ სატურნირო ცხრილში მდგომარეობა ასეთია: ტალს აქვს 13,5 ქულა, ფიშერს — 13 ქულა, გლეგორიჩს — 12,5 ქულა, კერესსა და პეტროსიანს 11,5-11,5 ქულა.

ᲘᲐᲕᲔᲠᲑᲐᲮᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲕᲔᲜᲐᲨᲘ. (ავსტრია) დამთავრდა ჯ. შლეხტერის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. საჭადრაკო დაფებზე მწვავე ბრძოლების შემდეგ პირველი ადგილი მოიპოვა საბჭოთა გროსმაისტერმა ი. ავერბახმა, რომელმაც 11-დან 9 ქულა მოაგროვა.

ᲬᲧᲐᲚᲒᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, (ტელეფონით, საკ. კორ.). გუშინ აქ სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ საცურაო აუზში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უნგრეთისა და თბილისის წყალბურთელთა გუნდები.

პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოვის „ჭარიშხალას“ გუნდმა, მეორე — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა გაერთიანებულმა გუნდმა, მესამე ადგილი წილად ხვდათ მოსკოვის „ტრუდის“ წყალბურთელებს.

გამარჯვებულ გუნდებსა და ცალკეულ სპორტსმენებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

„ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲘ“ 30 ᲙᲐᲞᲘᲙᲐᲓ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს მუშამ შალვა ილიას-ძე რაქვიაშვილმა რუსთავის ცენტრალურ შემახვედრე სალაროში წარადგინა 1961 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის №5945 სერიის ბილეთი № 201. მას მოგებად ხვდა მუხუთი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

რედაქტორი

დ. მᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

პარიზი, 30 სექტემბერი. (საკდეს). საკდესის კორესპონდენტები ა. ბარანოვი და გ. დრაგუნოი იუწყებიან: ათასობით ფრანგთა შორის, რომელნიც უოველდღე მოდიან საბჭოთა გამოფენაზე პარიზში, დღეს იყო შოფერი დაბა ლენინი-ან-კომბრეზიდან, რომელიც 8 კილომეტრზეა ქალაქ ლილიდან, — 58 წლის კამილ მერესი. გამოფენის ნაწილში, რომელიც მიძღვნილია მშენებლობისადმი, იგი და მისი ცოლი დიდხანს იდგნენ მაკეტის წინ, რომელიც გამოსახავს სტალინგრადის დამწვარ ნანგრევებს და დიდი ფოტოსტენდის წინ, სადაც მოცემულია გმირი ქალაქის დღევანდელი სახე.

ბევრი ფრანგი, მის მსგავსად, დიდ ხანს ჩერდება ამ დღეებში სტალინგრადის, იმ ქალაქის ფოტოსტენდთან, რომლის გმირმა დამცველებმა გაანადგურეს ჰიტლერელები და მოაახლოვეს აგრეთვე საფრანგეთის განთავისუფლების უამი... კამილ მერესმა ჯიბიდან ამოიღო ფოტოსურათი და ერთხელ კიდევ დააკვირდა იმ ადამიანის ნაკვთებს, რომელთანაც 17 წლის წინათ იგი დაკავშირა პატრიოტი ანტიფაშისტის ბედმა.

... იმ დღეს—1944 წლის 2 სექტემბერს ჰიტლერელი ოკუპანტები, რომელნიც უკან იხევდნენ, სამხედრო ტყვეთა კოლონას მოერეკებოდნენ ლენინი-ან-კომბრეზის გავლით. ერთმა მათგანმა—საბჭოთა მფრინავმა ეორეუ იუშკევიჩმა მოახერხა გაქცევა. მერესის ოჯახმა საფრთხეში ჩაიგდო სიცოცხლე და დამალა საბჭოთა მეომარი ოკუპანტების ცხვირწინ. იმავე ღამეს იუშკევიჩი თავის ახალ მეგობრებთან ერთად, რომელნიც აღმოჩნდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის პარტიზანთა ერთ-ერთი ჯგუფის წევრები, თავს დაესხა ჰიტლერელთა ავტოკოლონას.

აქ, ისევე როგორც საფრანგეთის სხვა ადგილებში, სადაც ჰიტლერელთა ჯურღმულებიდან გამოქცეული საბჭოთა ადამიანები საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ, იუშკევიჩმა საყოველთაო პატივისცემა მოიხვეჭა თავისი მამაცობით. როცა 1945 წლის გაზაფხულზე საბჭოთა მფრინავი სამშობლოში ბრუნდებოდა, ვიდნენ ადამიანები, რომლებსაც სურთ სასარგებლონი იყვნენ რევოლუციისათვის, რადგან მათ შეგნებული აქვთ, რომ მხოლოდ თვითონ ხალხი შეძლებს ჯეროვნად დაიცვას და კიდევაც უნდა დაიცვას თავისი თავი და რევოლუცია. ასე წარმოიშვა არმიისა და ხალხის ერთიანი რევოლუციური ფრონტი.

რევოლუცია, თქვა ფ. კასტრომ, ხალხთა მასების დიდი ჯაფაუება იყო პარაზიტების, ექსპლოატატორების წინააღმდეგ, სხვის ხარჯზე მცხოვრებ უსაქმურთა წინააღმდეგ. რევოლუციას ჯერ კიდევ არ აღმოუფხვრია მთლიანად პარაზიტიზმი კუბაში. მაგრამ ჩვენი ქვეყანა დღითიდღე უფრო და უფრო იცვლის სახეს, ხდება პატიოსან მშრომელთა ქვეყანა, ქვეყანა, სადაც არ არიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი, ქვეყანა, სადაც შეიძლება არ იყოს საუცხოო ავტომობილები, მაგრამ სამაგიეროდ იქნება პური, სკოლები, უნივერსიტეტები, საავადმყოფოები, ფაბრიკა-ქარხნები, გზები, ბინა და სამეშაო ყველა მოქალაქისათვის. სწორედ ეს აიხტერესებს ხალხს, სწორედ ამას ამენებს იგი და სწორედ ამას იცავს. ფ. კასტრო შეეხო პლაია-ხირონზე ბრძოლის დროს შეპყრობილ კონტრრევოლუციონერთა ბედს და განაცხადა, რომ რევოლუციური ტრიბუნალი სასტიკად დასჯის სამშობლოს მოღალატეებს. დაე იცოდნენ დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს და პენტაგონის აგენტებმა, რომ მტრებისაგან თავის დაცვაგად რევოლუცია სასტიკ სასჯელს მიმართავს მათ წინააღმდეგ, როგორიც კი საჭირო იქნება, მიუხედავად რევოლუციის მტერთა ყოველგვარი სიცრუის კამპანიისა, განაცხადა მან, ჩვენ გვჯერთ წინ, გავიწმინდებით ანტისოციალური ელემენტებისაგან და იმპერიალიზმისა და კონტრრევოლუციის ყოველგვარი აგენტებისაგან, რადგან ვიცით, რომ ახალი საზოგადოების აშენებისათვის ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა უნდა გადავტანოთ. მაგრამ თუ მტერმა გაბედა და თავს დაგვესხა, იცოდეს, რომ აქ შეხვდება არა მარტო უფრო მძლავრ არმიასა და მილიციას, არამედ აგრეთვე ისეთ რევოლუციურ ორგანიზაციას, როგორიც არის რევოლუციის დაცვის 107 ათასი კომიტეტი.

პრემიერ-მინისტრი შეეხო კუბის მთავრობის საგარეო-პოლიტიკურ ღონისძიებებს და განაცხადა, რომ კუბის მთავრობის დელეგაციამ, რომელიც სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში მოგზაურობს ოსვალდო დორტიკოსის მეთაურობით, ამ ქვეყნებთან მთელი რიგი სავაჭრო შეთანხმება დადო, რომელთა შესაბამისად კუბა 4 წლის მანძილზე ყოველწლიურად გაჰყიდის 4,5 მილიონ ტონა შაქარს ისეთ ფასებში, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება საერთაშორისო ბაზრის ფასებს. ეს საშუალებას მოგვცემს, აღნიშნა კასტრომ, უზრუნველვყოთ, რომ შაქრის ღერძების მწარმოებლებსა და შაქრის ქარხნების მუშაკებს მივცეთ მაქსიმალური ხელფასი. გარდა ამისა, ეს გაყიდვა შეაძლებლობას მოგვცემს 6,5 მილიონი ტონა შაქარი ვაწარმოოთ ყოველწლიურად.

ᲞᲐᲚᲛᲘᲠᲝ ᲢᲝᲚᲘᲐᲢᲘ: ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

რომი, 30 სექტემბერი. (საკდეს). იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი პალმირო ტოლიატი გამოვიდა იტალიის დეპუტატთა პალატაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის პროექტის გამო გამართულ კამათში და მოითხოვა იტალიის ახლდელი საგარეო-პოლიტიკური კურსის ძირეული შეცვლა.

ტოლიატმა დასასრულ თქვა: იტალიამ პირდაპირ უნდა განაცხადოს, რომ „იტალია არ დათანხმდება იმაზე, რომ მისი ტერიტორია გამოიყენონ საომარი ოპერაციებისათვის ან დაშინების ოპერაციებისათვის გერმანიის და ბერლინის საკითხის ევოლუციასთან დაკავშირებით“.

სამწუხაროდ, ჩვენს ტერიტორიაზე არის ამერიკის რაკეტების გასაშვები ბაზები საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, თქვა ტოლიატიმ. შეთანხმება, რომელიც იძლევა ასეთი ბაზების შექმნის ნებას, დანაშაული იყო ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა ვეცადოთ ამ შეთანხმების დარღვევას, ან ყოველ შემთხვევაში, დღეს მტკიცედ უნდა მოვითხოვოთ, რომ ეს ბაზები გადასცენ ჩვენი პარლამენტის განკარგულებაში, და განვაცხადოთ, რომ ამ ბაზებს ამერიკელი ან გერმანელი გენერლები არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებენ თავიანთი აგრესიის გეგმების განსახორციელებლად სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲒᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდეს). 30 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან დ. რასკთან.

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდეს). რამდენიმე ხნის შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა რასკმა დაამთავრეს თავიანთი საუბარი 30 სექტემბერს სასტუმრო „უოლდორფ-ასტორიაში“, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანამშრომ მოსახლეობასთან ურთიერთობის დარგში როჯერ ტაბმ პრესაში გამოსაქვეყნებლად წაიკითხა შემდეგი განცხადება:

„ზრთა გაზიარება გულითადი იყო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი სასარგებლო იყო. როგორც ცნობილია, ეს შეხვედრები ეწყობა იმისათვის, რომ სცადონ დაადგინონ, საჭიროა თუ არა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის მოკავშირეებს შორის.

ჩვენ მოველით, რომ აზრთა გაზიარება გაგრძელდება. ალბათ, შემდეგი შეხვედრა მოეწყობა ვაშინგტონში მომავალ კვირაში. ამ შეხვედრის დრო ჯერ არ არის დადგენილი. როცა ბ-ნი გრომიკო ვაშინგტონში ჩავა, იგი ალბათ, შეხვდება პრეზიდენტს“.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

კაირო, 1 ოქტომბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ნასერმა დღეს გამოსცა დეკრეტი დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ ირდანიასთან და თურქეთთან „იმ მტრული პოზიციის შედეგად, რომელიც ამ ორმა ქვეყანამ დაიკავა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და არაბული ნაციონალიზმის მიმართ“.

როგორც ცნობილია, ირდანიამ და თურქეთმა გამოაცხადეს, რომ ცნობენ სირიაში შექმნილ მ. კუზბერის მთავრობას.

პარიზი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტო კაიროდან იუწყება: ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც გაზეთმა „ალ-ახრამმა“ გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა შეინარჩუნებს თავის სახელწოდებას, ალამსა და ეროვნულ ჰიმნს, მიუხედავად სეპარატისტული მოძრაობისა სირიაში.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ხაზგასმულია განცხადებაში, იარსებებს იმ შემთხვევაშიც, რომ მოხდეს სირიის რაიონის გამოყოფა.

ᲡᲐᲒᲐᲭᲝᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ

ვარშავა, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ვარშავაში ჩამოვიდა საბჭოთა ტურნალისტების დელეგაცია, რომელშიც შედიან: გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი ა. ა. სატიუკოვი, „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, პრესის სააგენტოს „ახალი ამბების“ გამგეობის თავმჯდომარე ბ. ს. ბურკოვი, „საკდესის გენერალური დირექტორის მოადგილე ვ. პ. ხატუნცევი, „კომსომოლსკაია პრავდის“ მთავარი რედაქტორი ი. ა. ვორონოვი და პუბლიცისტი ბ. ნ. პოლევოი.

საბჭოთა პრესის მუშაკები მონაწილეობას მიიღებენ ტურნალისტთა საერთაშორისო შეხვედრაში, რომელიც განხილავს გერმანიის საზაო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის, საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხებს.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲡᲐᲒᲐᲭᲝᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ

ᲝᲠ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲨᲣᲐ

მაკმილანის გამოსვლა

ლონდონი, 30 სექტემბერი. (საკდესი). ერთა თანამეგობრობის საპარლამენტო ასოციაციის ლონდონის კონფერენციის დელეგატებმა გუშინ მოისმინეს პრემიერ-მინისტრ მაკმილანის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ინგლისმა გადაწყვიტა შეივდეს „საერთო ბაზარში“. საერთო ბაზრის შექმნამ, განაცხადა მაკმილანმა, „ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში“ ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომელსაც ინგლისი „იძულებულია გამოეხმაუროს“. იგი ამტკიცებდა, რომ „გადაწყვეტილება საერთო ბაზარში შეუსვლელობის შესახებ ისეთივე ფართო შედეგები მოჰყვება, როგორც გადაწყვეტილების შესვლის შესახებ“.

მაკმილანი დაწვრილებით შეჩერდა საკითხის პოლიტიკურ მხარეზე. როგორც ცნობილია, ინგლისის პროგრესული საზოგადოებრიობა დიდად შეშფოთებულია იმით, რომ „საერთო ბაზრისათვის“ შეერთება გამოიწვევს ინგლისის სუვერენიტეტის შელახვას, რადგან ერთ-ერთი მიზანი ამ ეკონომიური ბლოკის შექმნისა, სადაც მთავარ როლს დასავლეთი გერმანია და საფრანგეთი ასრულებენ, არის დასავლეთ ევროპის „პოლიტიკური ინტეგრაცია“ ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით. მაკმილანის განცხადებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ამ შიშის მთელი საფუძვლიანობა. „რომის ხელშეკრულების (ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად უდევს „საერთო ბაზარს“. — რედ) პოლიტიკური მიზანია ერთიანობისა და სტაბილობის განმტკიცება ევროპაში, — თქვა მან, — მე მიმაჩნია, რომ ეს მიზანი არსებითად დადებითია და ერთა თანამეგობრობის ინტერესებს შეესაბამება.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბეირუთიდან იუწყება, რომ, როგორც დამასკოს რადიოს ცნობებიდან ჩანს, „შეიარაღებული ძალების რევოლუციურმა სარდლობამ“ გამოაცხადა, რომ გენერალი ადელ ქერიმ ზაჰრედინი დანიშნულია სირიის არაბული არმიის მთავარსარდლად.

სარდლობის ცნობაში აღნიშნულია, რომ სირიის სხვადასხვა რაიონიდან დღეს მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ უშიშროება სირიაში ძირითადად უზრუნველყოფილია და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

ᲡᲐᲒᲐᲭᲝᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ

მან აღნიშნა, რომ ინგლისი უკვე შედის მთელ რიგ „პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ასოციაციაში“, როგორიცაა ნატო და დასავლეთ ევროპის კავშირი ევროპაში, სენტო და სეატო მსოფლიოს სხვა ნაწილებში.

ოლაპარაკა რა ინგლისის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ეკონომიურ მოსაზრებებზე, მაკმილანმა აღიარა, რომ ერთა თანამეგობრობის ვაჭრობის ახლანდელი სისტემის (რომელსაც საფუძვლად უდევს საიმპერიო პრეფერენციები) საერთო ბაზრის პრინციპებთან შეჯიბრების პრობლემის „გადაჭრა არც ისე ადვილიაო“. მან უარი თქვა რაიმე დაპირება მიეცა თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენლებისათვის და დასკვნა გააკეთებდა, რომ საქონლის ახალ ბაზრებზე „ეფექტიანი შეღწევა“ ინგლისის ეკონომიკისათვის „ცხოველმოქმედი სტიმული“ იქნება.

ასეთივე გაურკვეველი ხასიათის იყო მისი განცხადება, რომ „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან ინგლისის შეერთების პირობების შესახებ მომავალი მოლაპარაკების მსვლელობაში“ მთლიანად იქნება გათვალისწინებული თანამეგობრობის ქვეყნების აზრი“.

ᲡᲐᲒᲐᲭᲝᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ ოგრეთვე ნაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა, რომელთაც აქვთ წარმოებაში მუშაობის დიდი გამოცდილება.

კონკურსის ვადაა 1 თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: თბილისი, ბროსეს ქ. № 2. კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲡ ᲙᲕᲔᲒᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ კონკურსს შემდეგი საშტატო თანამდებობის დასაკავებლად:

1. ღვინის მრეწველობის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 2. ეთერზეთებისა და ცხიმზეთების მრეწველობის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 3. თამბაქოს მრეწველობის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 4. ხორცის მრეწველობის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 5. რძის მრეწველობის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 6. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მრეწველობის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 7. ნედლეული რესურსების განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 8. პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო მრეწველობის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 9. ტარის და გაფორმების განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 10. წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 11. წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 12. ტექნო-ქიმიური კონტროლის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 13. სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 14. ბოქიაულის ლაბორატორიის გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი, ან კანდიდატი. 15. ბიოფიზიკის ლაბორატორიის გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 16. მიკრობიოლოგიის განყოფილების გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 17. სითბოსა და სიცივის ლაბორატორიის გამგე — 1 ადგილი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

**პირობა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში, განცხადება უნდა შემო